

საგზაო

საერთო სახელი

შაბათი 10 ივნისი 2000 №109 (1131)

ფასი 50 თეთრი

უყურეთ ევროპას!



UEFA

EURO 2000

დღეს ბრიუსელის „მეფე ბოდუენის“ სტადიონზე ბელგია—შვედეთის მატჩით ევრო 2000 გაიხსნება. ტურნირი 22 დღეს გასტანს და 2 ივლისს 31-ე, ფინალური მატჩით დასრულდება.

„მეფე ბოდუენი“, 1985 წლის ტრაგედიით ვაგლახად ცნობილი ყოფილი „ეიზელი“, კვლავ დაუხვდება დიდ ევროპულ ფეხბურთს.

პირველად, როცა კონტინენტის ჩემპიონატს ორი მასპინძელი — ბელგია და ჰოლანდია ჰყავს.

ასევე პირველად, როცა საფეხბურთო ხულიგნებს უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ფეხბურთზე.

„თუ გავიმარჯვებთ, ორმაგად მოგებულები დავრჩებით — სამ ქულასთან ერთად თავდაჯერებასაც შევიმატებთ“

— ამბობს თანამასპინძელ ბელგიელთა მწვრთნელი რობერ ვასეუი და შვედებს დიდ ბრძოლას ჰპირდება. ცხადია, არც სკანდინავიელები აპირებენ დანებებას და თავიანთი წილი იმედიც აქვთ.

ხვალ კიდევ სამი მატჩია:

თურქეთი—იტალია,

საფრანგეთი—დანია და

ჰოლანდია—ჩეხეთი. მერე კი

მიჰყვება და მიჰყვება...

იხილეთ მეორე-მეათე გვერდები

REUTERS პროფესორი

ქაიფი — ბარა!



ემანუელ ბეტი, ლორან ბლანი, მარსელ დესაი და ნიკოლა ანელკა

მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ევრო 2000-ში ხვალ ჩაებმება დანიის ნაკრების წინააღმდეგ. „ლურჯები“ პატარა ბელგიურ ქალაქ ვავერში ემზადებიან ამ მატჩისთვის. მათ მთავარ მწვრთნელ როფე ლემერს სპეციალური მენიუც კი შეუქმნავენ. ფრანგები ძირითადად ქაიფის თეთრ ხორცს და თევზულს მიირთმევენ. პური და კარაქი, ფაქტობრივად, აკრძალული აქვთ. ხანდახან ერთი ჭიქა ლეინის დაღვრულ შუქლით. უფრო მრავალფეროვან სუფრას თამაშების შემდეგ გაივლით, როცა თქვენი ცხოვრების თანამგზავნი გვესტუმრებინან ხოლმე, ამჟამად დაარღვევენ ხოლმე ამ წესს და სხვადასხვა თემაზე საუბრობენ.

ლორან ბლანი: დანიელთა თამაშის სტილს კარგად ვიცნობთ. ისინი ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან. თუმცა იმის თქმა ნამდვილად არ შეიძლება, რომ სკანდინავიელები უხეშობენ. ისინი ხისტ ფეხბურთს თამაშობენ. ამ კომპონენტში არც ჩვენ ვართ სუსტები. ასე რომ, ძალიან საინტერესო მატჩი იქნება. ამ ტურნირის შემდეგ ნაკრებს დავემშვიდობები. ეს გუნდი უზომოდ მიყვარს. მისთვის ძალიან ბევრი გამიკეთებია, მაგრამ ვალში

არც ის დარჩენილა. საფრანგეთს ევრო 2000-ის მოგება შეუძლია. ჩვენ ფაქტობრივად ვართ, ამის უარყოფა არ შეიძლება. ისე, ევროპის ჩემპიონატების მოგება, ჩემი აზრით, ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატებისა. აქ სუსტი გუნდები არ არსებობს. ფაქტობრივად ესპანეთს, პორტუგალიას და ჰოლანდიასაც დავასახელებდი.

კრისტოფ დიუგარი: რამდენიმე წელია ველოდები, თავდასხმაში დიდი კონკურენცია რომ იყოს ცენტრალური თავდასხმელის ადგილზე ახლა ბევრს შეუძლია თამაში და ეს ძალიან კარგია. იძულებული ვიყავი, დიდი ხნის განმავლობაში მეთამაშა ამ პოზიციაზე არაა, მე სულ სხვა ამპლუის ფეხბურთელი ვარ. ამიტომაც ხშირად მაკრიტიკებდნენ. მე ფლანგდან შეტევა უფრო მეტხერხება. როცა ანელკა და ტრეზუეე გვყავს, მათ პასუხითაც კარგად მოვამარაგებ. ჩვენი მთავარი სიმძლიერე კონცენტრირების უნარია. მატჩამდე ერთი საათით ადრე შეგვიძლია, ყველაფერი დავიფიქსოთ ფეხბურთის გარდა.

ემანუელ ბეტი: ჩვენი ძალისა გეჯერა. ჩემპიონობა ნამდვილად შეგვიძლია. საფრანგეთის დამარცხება ყველას ძალიან გაუჭირდება. „ლურჯები“ მართლაც რომ ერთი ოჯახი ვართ. „მეგობრობა“ ჩვენთვის უფრო სიტყვა

არაა. ძალიან შეკრული ვართ დასავლეთით. თუმცა სახეობრივად გვაქვს. მაგალითად, ბურთის დაკარგვისას უფრო სწრაფად უნდა გადავეწყვიტო. ანელკასა და ანრიოსთან „არსენალში“ შევნივრად შევთამაშდი. სულ ვიცი, ბურთი როდის და სად მივაწყო. ისინი ძალიან სახიფათო არიან და მათი შენერება ძალიან ძნელია. ადრე დავა ვაში უფრო უკეთესები ვიყავით, ვიდრე თავდასხმაში, ახლა ყველა რგოლში თანაბრად ძლიერები ვართ.

ზინედინ ზიდანი: მთავარი მე არ ვარ. მთავარი გუნდია. მე მხოლოდ მისი მეთვრთმეტედი ნაწილი განსაზღვრავთ. უბრალოდ, ჩემი საქმე უნდა გავაკეთო, როგორც ემე ვაქე მუხუნბოდა. რა თქმა უნდა, მატჩის მსვლელობაზე უფრო მეტი გავლენის მონღენა შემიძლია, ვიდრე სხვებს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ გამთამაშებელი ვარ და არა სხვებზე ათი თავით უკეთესი. ყველა ჩვენგანი ერთნაირად საჭიროა გუნდისთვის. საფრანგეთის ნაკრები თითქმის სრულყოფილია. მას ყველაფერი აქვს. არავისი გვეშინია. უეჭველად იმაზე ძლიერი გუნდი გვყავს, ვიდრე ორი წლის წინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. ევრო 2000-ის მოგება ნამდვილად შეგვიძლია, ოღონდ მეტოქეების შეუფასებლობა მაინც არ გვებინა.

ბაიოჯ თალაგამაქი

უპიდი დაუპაპებული

დანიელბი ჯგუფში პირველ შეხვედრას კვირას საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებენ. არადა, ამ დღეებში, გუნდის ერთბაშად შეიდი ფეხბურთელი დაშავდა. სავარაუდოა, რომ მათგან სადებიუტო მატჩს სულ მცირე ორი მთამაშე გამოტოვებს. მცველ იეს პოუს ფეხის ტკივილი სტანჯავს, ფორვარდ მარტინ იორგენსენს კი საზარდული დაუზიანდა. კვირას, ალბათ, ისინი ვერ ითამაშებენ. ნახევარმცველ ბრაიან სტენ ნილსენისა და მცველ თო-

მას ჰელვეგის ასპარეზობაც საეჭვოა, ორივეს მცირე ტრავმები აწუხებთ. ოთხშაბათს ვარჯიშის დროს ონ დალ ტომასონიც დაშავდა. თავდასხმელმა მუცლის კუნთი დაიზიანა.

თავს ჯანმრთელად გრძობენ მცველები მარტინ ლაურსენი და მიქელ შონბერგი, ორივეს ფეხი აწუხებდა, მაგრამ კვირას ალბათ, პირველივე წუთებიდან გამოჩნდებიან მინდორზე.

შირერს კოპლის დანახვა არ უნდა

ინგლისის ნაკრები უიქლავა ეთიოპიას დააკომალიტონ



ინგლისის ნაკრების ფორვარდის, ალან შირერის თამაში ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში საეჭვოა. ფეხბურთელმა მუხლი იტყინა. მან ხუთშაბათს გამოკვლევა ჩაიტარა. ექიმებს საბოლოო დიაგნოზი ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ. „პასუსს ველოდები — განაცხადა 29 წლის შირერმა — ჩემი ასპარეზობა ამაზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. მთელი გუნდი გვერდში მიდგას. ვარჯიშს, ალბათ შაბათს ვანეახლებ“.

შირერს მარცხენა მუხლი მალტასთან ამხანაგურ შეხვედრაში დაიზიანა, მეორე ტაიში მოუღანი დატოვა და ყინულის სახვევაც კი დასჭირდა. „ნიუკასლის“ თავდასხმელმა ოთხშაბათის

ვარჯიში გამოტოვა, თუმცა მანინ ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი გართულებები უარყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი: „მჯერა, ყველაფერი მალე მოგვარდება, თავად შირერი იმედინადა. ამ კვირაში რვა ფეხბურთელმა ჩაიტარა გამოკვლევა, ეს დამკვიდრებული პროცედურაა, რომელსაც ხშირად ვიყენებთ. ექიმების ზუსტ ინფორმაციამდე უნდა მოვიცადოთ. ალანს თამაში სურს. იგი მალე ვარჯიშს დაიწყებს“.

შირერის ტრავმის შემდეგ ბრიტანული პრესა ხშირად ასხენებს ენდი კოულს. კევინ კიგანმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდ ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანა და ახლა, ეგებ მისი გამოძახებაც დასჭირდეს...



მეტი წრე სტადიონის გარშემო! მოთელვა! კვადრატში კარში დარტყმა! — ასეთ ბრძანებებს მწვრთნელები ყოველდღიურად იძლევიან, მაგრამ ვარჯიში განაშრტო ეს არის? კუნთებისთვის ველოსიპედით სეირნობაც კარგია. აგერ რა უნდა ვიქნებოთ. თან, რომ არ მოინწყინოს, ქომაგები მიპყვებიან.

და ვანა მარტო რაულია ველოსიპორტის მოყვარული? ხუთშაბათს დილით, როცა ესპანელები სასტუმროდან სანგრთნელ ბაზაზე უნდა ნასულიყვნენ, ავტობუსმა დაავიანა. მასპინძლები შენუხდნენ, ეს რა დაგვემართა, თავი მოგვეჭრა. კარგად აღზრდილმა ესპანელებმა გამოსავალი უცებ გამოიხატეს. ოცდამეორე ფეხბურთელი ველოსიპედზე შემოვიდა და დანიშნულების ადგილას ისე მივიდა. თან ვარჯიშია, სუფთა ჰაერზე გაისეირნეს და ბუნების ხედვითაც დატკბნენ. პატარა და მყუდრო ქალაქია აღმოსავლეთ ჰოლანდიური ტრეველენი.

საგანგებო მდგომარეობა ამსტერდამში

ევროპის ჩემპიონატის დღეებში გუმინდლიდან 4 ივლისამდე ამსტერდამში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ჩემპიონატის ორგანიზატორთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ხომ საზოგადოებრივი წესრიგია. ბრძოლაც ამისთვის გაჩაღდა. თუ ხალხში ნასვამი ადამიანი გამოჩნდა — ჯარიმა 50 გულდენია, ხოლო ქუჩაში მომხარვედლები ორჯერ მეტს გაიღებენ. ცხადია, არსებობს უფრო სერიო-

ზული დარღვევებიც და მათზე ჯარიმაც მეტია. ბილეთების არალეგალურ გამყიდველთ 750 გულდენის გადახდა მოუწევთ, ხოლო ისინი, ვინც რასისტული ქცევებითა და მოწოდებებით „ისახელებენ თავს“, 1000 გულდენით შეიმსუბუქებენ ჯიბეს.

დავაზუსტოთ, რომ ერთი ამერიკული დოლარი 2,277 გულდენის ტოლფასია.

ბაპიტის დაბრუნება

მსპანელთა კაპიტანმა ფერნანდო იერომ ბოლო ათი კვირის განმავლობაში მინდორზე სულ 90 წუთი გაატარა. ვესსომებათ, მდრიდელმა ჩემპიონთა ლიგაში „რუსენბორგთან“ მატჩისას ტრავმა მიიღო, მაგრამ ჯერ იმავე ლიგის ფინალში, მერე კი ნაკრების ბოლო ორ ამხანაგურ შეხვედრაში მისი გამოჩენა სრულ გამოჯანმრთლებას უნდა ნიშნავდეს.

თავად ფეხბურთელი ამბობს: „თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და კამარის შეუძლია, ჩემი იმედი ჰქონდეს. თუმცა ვიცი, რომ სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა გარანტირებული არ მაქვს, ისევე, როგორც არც ერთ ჩემს მეგობარს. მწვრთნელი ამ თვალსაზრისით ძალიან მკაცრია და ჩვენგან სრულ მზადყოფნას მოითხოვს. ლიდერი ვინ იქნება? ვერ ვეტყვი. ვფიქრობ, კარგ გუნდში თერთმეტევე ფეხბურთელს უნდა შეეძლოს საჭირო მომენტში ამ ტვირთის საკუთარ თავზე აება“.

მიუხედავად იმისა, რომ ფერნანდო იერო მცველია, გოლების გატანაც შეუძლია, ძირითადად საჯარიმოებიდან და თუ მას ეს თვისება არ დაუკა-



ფერნანდო იერო

ბელგიის ნაკრები ქალბა იხსნა

პირველ თამაშს ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლები დღეს მართავენ და შედეგს დაუხვდებიან. ახლა ბელგიელებს ერთი პრობლემა აწუხებთ — პარმელი ნახევარმცველი იოჰან ვალენბა ტრავმირებული, გუმინ კი თავსატეხიც ჰქონდა, არაუადრე იცოდა, შეძლებდა თუ არა თამაშს „მონაკოს“ მცველი, ფილიპ ლიონარი. იგი ჯანმრთელობას არ უჩიოდა, მაგრამ მუქულე

ჰყავდა ფეხშიმედ და დღე-ღამე მამალ გახდომას ელოდა. ექიმები ამობდნენ, იქნებ ქალს საკეისროს გაკეთება დასჭირდესო და ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რობერ ვასევიც დაღონებული ჩანდა. „ჯერაც ვერაფერი გადამიწყვეტა — უოქვამს მას გუმინწინ — არ მინდა, ყველა ადრინდელი გეგმა დაეანგრეთ. ბევრი რამ ფილიპის მუქლეზა დამოკიდებული“. და აი, გუმინ

ლიონარი ბედნიერი მამა გახდა, გოგო შეეძინა, სახელად ჯულია დაარქვა და თვითონ დღეს საღამოს ხომ ორმაგი ენერჯით იბურთავებს, მწვრთნელის გამოცოცხლებაც ერთ რამედ ღირს. „ბედნიერი ვარ, გაცნობით, რომ ფილიპს გოგო ჰყავს და ითამაშებს კიდევ“ — სწორედ ვასევი იყო პირველი, ვინც ყურნაღისტებს ეს ამბავი აუწყა. საღამოს კი — ბელგია-შვედეთია.

ოლა, ოლა გუნარ, ოლა!

ნორვეგიელთა პანაკში სრული ჰარმონიაა, ნამდვილად ვერ ვიტყვი. მწვრთნელი ნილს სემბი „მანჩესტერის“ მცველის, ჰენინგ ბერვის ტრავმას ჩაუფიქრებია.

— ბერგი ახლა ვერ ვარჯიშობს. თუ გამოჯანმრთელდა, ხომ კარგი, სამშაბათს პირველ მატჩში ესპანელებთან ითამაშებს — განაცხადა გუმინ სემბმა.

რაც შეეხება მეორე „ინგლისელს“ — ოლე გუნარ სოლსკიაერს, იგი გუმინ მწვრთნელთან შეთანხმებით მანჩესტერში გაფრინდა და მეუღლის მშობიარობას დაელოდა. სილიამ ახალგაშობილ მამას ვაჟი აჩუქა. 27 წლის ბედნიერი მამა, რომლისთვისაც ეს პირველი შვილია, ესპანელებთან შეხვედრისთვის ნაკრებში ხვალ დაბრუნდება.



ალესანდრო დელ პიერო, მარკო დელვეკიო და ანჯელო დი ლივიო

წმინდასისხლიანი ბერძანელები

ბერძანების საფეხბურთო კავშირის ცნობით, ბუნდეს-ნაკრების ოთხმა ფეხბურთელმა დოპინგის ტესტზე წარმატებით გაიარა. მეკარეებს — ოლივერ კანს და იენს ლემანს, აგრეთვე მცველ მაკრუს ბაბელს და ნახევარმცველ იენს იერემისს უფვამ ამორჩევით ჩაუტარა დოპინგზე გამოკვლევა. მათ სისხლში აკრძალული პრეპარატი არ აღმოჩნდა.

უფასო ცნობით, მათ დაგეგმილი აქვთ, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს თითო ნაკრებიდან ორ-ორი ფეხბურთელი შეარჩიონ და დოპინგზე შეამოწმონ.

თქვენი იარაღი კალამია, კოლეგა!

ბელგიაში ბრიტანეთის სამი მოქალაქე დააკავეს. მათ იარაღის უკანონოდ ტარებაში ედებათ ბრალი. ბელგიური პრესის ცნობით, ბრიუსელში დაპატიმრებული ერთ-ერთი პიროვნება ცნობილი ინგლისური გაზეთის „News of The World“-ის კორესპონდენტია.

ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა უწყება იტყობინება, რომ მათ ბელგიის პოლიციისგან ზუსტი ინფორმაცია სჭირდებათ — „პოლიციის გადასაწყვეტია, დააკავეთ დასჯიან თუ ქვეყნიდან გააძევენ“.

წივირ დაძაბუებებს საზღვრიდანვე უკან გააბრუნებენ. პოლიცია პოლანდიაში ბარებისა და რესტორნების მფლობელებს აფრთხილებს, მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების ზომები და თავიანთი ქონება დაახლოვონ. სამართალდამცველების მტკიცებით, კონფორტაცია და ხულოვანთა ამბოხი გამოიყვანა არაა, ამიტომ წინასწარი მომზადება არავისთვის იქნება ურიგო.

თავად ბრიტანული გაზეთის წარმომადგენლის განცხადებით, მას არ ძალუძს დაადასტუროს, ნამდვილად

მუშაობდა თუ არა დაკავებული გაზეთის რედაქციაში.

ბრიტანეთის პოლიციამ ბელგიელ და პოლანდიელ კოლეგებს 1000 ხულოვანის გვარი უკვე გადასცა, პოლ-

ოპერმარსი დაფრინავს და თამაშობს

პოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა მარკ ოვერმარსმა კუნთის ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა, თუმცა ევროპის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას ჩეხეთის წინააღმდეგ, ალბათ, სასტარტოში ვერ დაიწყებს. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელმა ბოლო ოთხი დღე დაისვენა. „ვიმედოვნებ, ორ-სამ დღეში სრულიად გამოვჯანმრთელდები — თქვა მან — შესვენებამ დაგეგმილზე მეტხანს მომიწია, ახლა თამაში მსურს. მინდა, პოლანდი-

ის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდეს. ოვერმარსმა განაცხადა, რომ წლებულს „არსენალში“ ძალიან გადატვირთული სეზონი ჩაატარა და ტრავმამაც ამიტომ შეაჩინა თავი: „თამაში სრული დატვირთვით დავიწყებ, მაგრამ კუნთი დავიზიანებ. ბოლო რამდენიმე თვეა, ან პრინციპულ შეხვედრებში ვმონაწილეობ, ან ერთი ქალაქიდან მეორეში სათამაშოდ თვითმფრინავით ვმოგზაურობ.“

ოღონდ ამათ მოვუბოთ...

სლოვენიალებს ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე მეტად იუგოსლავიელების დამარცხება სურთ და ამას არც მალავენ. ისე მოხდა, რომ რამდენიმე წლის წინ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, ახლა ევროპის ჩემპიონატზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. „ჩემთვის იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრა ტურნირში ყველაზე პრინციპული იქნება — აცხადებს სლოვენიის ნაკრებისა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შემტვენი ნახევარმცველი მილენკო აჩიმოვიჩი — ბელგრადში ვთამაშობ და ბევრ

მეტოქე ფეხბურთელს კარგად ვიცნობ. მათ წინააღმდეგ მატჩს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემს სამშობლოში სწამთ, რომ იუგოსლავიელების დამარცხება ძალგვიძის.“

სლოვენიელთა თავიანთი სრეჩკო კატანეცი, რომელიც იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელ ვუგანდინ ბოშკოვიჩის მეგობარია, იმედინადაა: „სლოვენიისა და იუგოსლავიის დაპირისპირება ევროპის ჩემპიონატზე მართლაც უცნაურია, მაგრამ ჩვენ პოლიტიკას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და ფეხბურთი ვითამაშოთ. შევეცდებით, ძლიერი ხასიათი გამოვავლინოთ და გოლები გავიტანოთ. დიდი ანგარიშით წაგების არ გვეშინია. წარმატებას უნდა გვეჯეროდეს და მაქსიმალურად მოვიწოდოთ.“

თურქებმა კარი ჩარაზეს



მუსტაფა დენიზლი: თავი დაგანებეთ

თურქეთის ნაკრების პრესატამის ცნობით, გუნდი იტალიელებთან მატჩისთვის სასტუმროს მიმდებარე მოედნებზე ემზადება. თურქები პატარა ქალაქ დელდენში დაბანაკდნენ. გუნდი მთავარი მწვრთნელის, მუსტაფა დენიზლის ხელმძღვანელობით დასურულ კარს მიღმა ვარჯიშობს. იტალიელებთან შეხვედრამდე ორ მნიშვნელოვან მოსამზადებელ კურსს ჩავატარებთ, გულშემატკივრები და ჟურნალისტები ვარჯიშს ვერ დაესწრებიან — განაცხადა პრესატამმა და დასძინა, რომ ნაკრების ფეხბურთელებს სასტუმროს ტერიტორიის დატოვება არნებში ჩასვლამდე აკრძალულია, თავისუფალ დროს ისინი ჩოგბურთისა და მინი-ფეხბურთის თამაშით გაერთიანდნენ.

ჩახეხა იხიან: პოლანდია შეუტევეს

„მჯერა, ჩეხურ ფეხბურთს ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად წარვადგინებ“ — განაცხადა ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოზეფ ჰოვანეცმა, რომლის შევირდები ევრო 2000-ის პირველ შეხვედრას ტურნირის მასპინძლებთან და უპირველეს

ფავორიტებთან, პოლანდიელებთან ჩაატარებენ. აღსანიშნავია, რომ ჰოვანეცი ერთხანს პოლანდიაში თამაშობდა, 1989-დან 1991 წლამდე ასე-სე ღირსებას იცავდა.

ბოლო ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა მწვრთნელი, რომლის გუნდიც წლებულს ურთულეს ჯგუფში მოხვდა, ვარაუდობს, რომ პოლანდიელები მათ კარს თავიდანვე შეუტევენ და ამას მომზადებულნი უნდა შეხვდნენ. „ნაწილობრივ ჩვენზეა და მოკიდებული, მათ ჩვენი სტილი უნდა შევთავაზოთ, რათა მოსალოდნელი ზეწოლა თავიდან ავიცილოთ.“



ორი მატჩით დასჯილი პატრიკ ბერგერი ავტოგრაფებს არიგებს

გეგმთ აქვთ პრიტიკა! დელ პიეროს კინაღამ აკოცას

„პრიტიკა კარგია, მაგრამ მასაც თავისი საზღვარი აქვს — განაცხადა იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დინო ბიოშა, რომლის გუნდის მიმართაც ბოლო ხანს უკმაყოფილება გაისმის — ზოგიერთი გაზეთის პირველ გვერდზე ასეთ სათაურებს მოკარი თვალი: „ძოფი სუსტია“, „ძოფი უჭკობა“, „ძოფი შეშლილია“. კონკრეტულად არავის ვადასაშულებ, მაგრამ მეტის მოთმენა შეუძლებელია. ტურნირის შემდეგ ნებისმიერ შენიშვნას გავეთვალისწინებთ, მანამდე კი უნდა გეაქცელოს“. ბიოშა და მის გუნდს იტალიური პრესა ბოლო 12 თვეა, დაუნდობლად კიცხავს. მარშან, სექტემბერში, „სკუადრა აპურაში“ ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში დანიასთან 2:3 წაგო, შემდეგ, ნოემბერში, ბელგისთან ამხანაგურ შეხვედრაში 1:3 დამარცხდა, წლებულს, მარტში კი ესპანელებთან წაიფორხილა და მათგან ორ უასუსხო გოლი გაუშვა.

ერთ დეტალს მომავალ ვარჯიშებზე დაეაზუსტებო, თქვა მან. იტალიის ნაკრების სამომავლო გეგმებზე კაპიტანმა პაოლო მალდინიმაც ისაუბრა. „ჩვენ ვიცით, რას ვაპირებთ და მომავალ შეხვედრებში როგორ ვითამაშებთ — განაცხადა „მილანის“ მცველმა — 1994-წლის მსოფლიოს ჩემპიონატი არიგო საკის ხელმძღვანელობით 4-3-3 განლაგებით დავიწყეთ და 4-4-2-ით დავასრულეთ. თუმცა, ვგონებ, ეს მხოლოდ ციფრებია. მართალია, ნორვეგიასთან შეხვედრაში რაღაც არ გამოგვივიდა, მაგრამ ჩვენი გუნდის ფეხბურთელების ღონეს თუ გავეთვალისწინებთ, გაცილებით მეტის მიღწევა ძალგვიძის.“

„სკუადრა აპურას“ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება იტალიის პრემიერმინისტრმა ჯულიანო ამატომ უსურვა. „ევრო 2000-ზე თქვენი გამარჯვება მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია“ — განუცხადა მთავრობის მეთაურმა ნაკრების ფეხბურთელებს ბელგია-პოლანდიაში გამგზავრებამდე.

გუმინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ლაჯიოს“ მცველი ალესანდრო ნესტა დამაზებულა და შესაძლოა ტურნირის პირველი შეხვედრა თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ გამოტოვოს. მოგვიანებით თავად ფეხბურთელმა განაცხადა: „მარცხენა ფეხი ოდნავ ვიტკინე, მაგრამ საშიში არაფერია, მაშინვე ყინული დავიდე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ.“



გიო ახვლედიანი წერილები კომუნისტების ლისაბონიდან

ბელის უცნაური კვანტისტრიადის გამო „სარბიელის“ მესვეტე ბრიუსელისა და როტერდამის ნაცვლად ლისაბონში მოხვდა. მერე, უფრო და უფრო აღმოსავლეთით, მატარებლით დალიანდაგებული ევროპა, სხვა ქალაქები და სხვა წერილები იქნება. მესვეტე იმედოვნებს, რომ ბრიუსელშიც ჩააღწევს, მაგრამ მანამდე ლისაბონისას მოგახსენებთ.

ფიგუს სარდანა

აუტანელი სიცხის მიუხედავად, პატონსად ვიბოლიაღე ამ ერთგვარად თბილისური ქალაქის ჩრდილო-დასავლეთში, ჩვენი უბრალო ხალხით დასახლებულ ბენფიკაში და ერთი იქაური მოზანგო კაცისგან „ბენფიკას“ მარფიც შევიძინე ათას ოთხას ესკუდოდ, რაც 14 ლარს უდრის. ლისაბონში ხალხი ფრიად მილიფად დაიარება, შინ კი სიცხეს დახურული დარბაზებით ებრძვის, ასე რომ, მარფის უიშვიათესი მყიდველი გამოვლექი. ეს ნივთი „ბენფიკას“ არც ერთ გულშემატიკვარს არ გაახსენდება შემოდგომამდე, არც იმდრომდე, როცა ახალი სეზონი დაიწყება და ექვსწლიანი გამაღებული ლოდინით გაბეზრებული ბენფიკას უბნის პროლეტარიატი კვლავ ჩემპიონობას მოსთხოვს საყვარელ გუნდს.

ბენფიკაში ნებისმიერი ოფიციალტი ხელ-ფეხით მივახვედრებს, რომ „სპორტინგის“ ჩემპიონობა მხოლოდ და მხოლოდ მისი მეკარის, პეტერ შპინხელის დამსახურებაა, ხოლო „პორტუ“ მართო ჟარდელის მხრებზე დგას. „ბენფიკა“ კი... ასეთ დროს ეფენბერგისეულ შუათითს აღმართავენ ხოლმე: „ბენფიკას“ მწვერთნილი კი არა, ერთი დიდი ვარსკვლავი სჭირდება — ისეთი, როგორც დღეს მისი მოსისხლე „სპორტინგში“ ხნადა მინდორს. დაბერდება და „ბენფიკაში“ მოვა — ამბობენ ბენფიკელები.

ლისაბონით კი დაიწყეთ, მაგრამ უფრო ბარსელონაზე მოგვიწევს ლაპარაკი, რადგან ფიგუს ბარსელია. პორტუგალიელები თვლიან, რომ მათი ნაკრების წარმატება სწორედ „ბარსადან“ იწყება და წარმატება ევრო 2000-ზე ფიგუსზე ჰქაიდა. მას აქ დმერთკაცის დარი პატივით და სიწირფელით მოიხსენიებენ, ისე, როგორც ჩვენთან მიხეილ მესხს. პორტუგალიელ ვირტუოზთა მთელი ათეულის არსებობის მიუხედავად, ფიგუს აბსოლუტურ მუფველაა შერაცხული. იგი ისეთივე ლიდერად აღიქმება,

როგორც ცეცხკა იყო საბჭოთა პოეკიში. მრავალრიცხოვანი „დიარიო“-გახეთების პირველი გვერდებიდან მას ერთგვარად ეპაექრებიან „ბარსადან“ „პორტუში“ გაქირავებული ძველი პორტუგალი ვიტორ ბაია და ჟოაო პინტუ, რომლის „ფიორენტინაში“ შესაძლო გადასვლასაც 48-გვერდიანი „ა ბოლას“ ლამის მთელი ნომერი მიძღვნა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ვიტორ ბაიაზეც ამბობენ, კვლავ კატალონიამი ბრუნდება. პინტუ და ბაია აქ ჟინოვებად ანუ უადრესად სიმპათიურ ბიჭებად ითვლებიან, ბაია ერთ რამეშიც ვჭიდავება ფიგუს — კი კოხტა გოგოცა ჰყავს მეგობრად და უფრო ამიტომ შემოგვცინის პირველი გვერდებიდან. სხვა ყველაფერი — ფიგუსა.

ევრო 2000-ის შესაძე სათამაშო დღეს პორტუგალია ინგლისს ხვდება. ფიგუს კი მთავარია — ჟურნალ-გახეთები რა მოსაქანია, მისი უზარმაზარი პლაკატები კედლებზე და ავტოსტრადების პირასაც კია გამოფენილი. ფოტო ტრადიციულია — ბარსელონელ ვარსკვლავს ბურთი მარჯვენა ფეხზე მიწებებია და სამთო მოთხილამურის დარად გადაქანებულია გვერდზე.

სიტყვამ მოიტანა და, ლისაბონისკენ მიმავალი ბარსელონაშიც აღმოჩნდი ორიოდ საათით. მოგზაურობა მოულოდნელობაა და ამ მოულოდნელობას ავსტრიულ ავიაკომპანია „ლანუდა ეარს“ უნდა ვუძალოდეთ. ქართული უდარდლობის გამოისობით ვერც კი შევაძინეთ, რომ სატრანზიტო ბილეთი ვეინდან ლისაბონში გზად კატალონიას დამხვედრებდა და ბარსელონაში შემავივნებდა. ამ შეყოვნებისთვის მადლობა ლეგენდარულ მეფორმულე ნიკი ლაუდას — ამ ავიაკომპანიის პატრონს!

ბარსელონაში კი კატალონიური უნდა დაიჭირო. ამიტომაც ვიკითხე, ერთი ისეთი გახეთი რომელია, კატალონიელი ხალხის აზრსა და სული-სკვეთებას რომ გამოხატავს-მეთქი. არის ეგეთი გახეთი, აგე, „ლა ვანგარდიაო“, რაც ჩვენებურად „ავანგარდს“ ნიშნავს. გადავმალე ეს პატივცემული და იქაც ფიგუსა, თანაც ინგლისის დამარცხება სდომებია. ფიგუს ამბობს,

„ბარსას“ რომელიმე ფეხბურთელი მინც გახდება ევროპის ჩემპიონი და პოლანდიელებისთვის მილოცვას ის მირჩევნია, მათ აქეთ მომილოცონ. აქ ერთგვარი მინიშნებაცაა იმაზე, რომ ფიგუს ფავორიტებად პოლანდიელები მიაჩნია.

ფიგუს თქმით, მას კარგად გამო-სდის ინგლისელების წინააღმდეგ თამაში და წლევეანდელი ჩემპიონთა ლიგის ბრძოლებს იხსენებს — „ჩელსისა“ და „არსენალის“ დამარცხება ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი იყო ამ სეზონში. თუმცა იქვე აღნიშნავს — ამ გუნდებში ინგლისელები კი ცოტანი არიან, მაგრამ მინც ინგლისურად თამაშობენ, ჰოდა ტონი ადამსს და მის ამხანაგებს სისხლს გავეუშრობო. ამისდაკვლად ახალ „ა ბოლაში“ ალექს ფერგიუსონი ფიგუს სადღეგრძელოს წარმოთქვამს და ამბობს, ევრო 2000-ის გასრულების შემდეგ რამდენიმე სატრანსფერო სიურპრიზს შემოგთავაზებთო, რაც, ჩემი ჭკუით, პირდაპირ სასაცილოა.

ახლა კი ფიგუსთან მიმართებაში წარმოშობილი ალეგორია: კატალონიელებს ხალხური ცეკვა აქვთ, რომელსაც სარდანა ჰქვია. სარდანა ალბათ ერთადერთი ცეკვაა მსოფლიოში, რომელსაც დირიჟორი ჰყავს. სწორედ ეს დირიჟორი ანიშნებს, ვინ, როდის და როგორ უნდა წაუცეკვოს. კატალონიურ-პორტუგალიური თემის ერთგვარ საფუძვლადაც ეს სარდანა გამოდგება. ფიგუს დირიჟორია, ოღონდ ავანგარდისტი ანუ ხშირად მისთვის სულერთია, ვინ და როგორ ცეკვავს. „ბარსაში“ საქმე უფრო აწყობილია, პორტუგალიის ნაკრებში კი საქმე სხვაგვარადაა: ჟოაო პინტუსა და რუი კოშტას სინატიფის, ფერნანდო კოუტუს მებრძოლი სულის, ბაიასა და ქალივით ლამაზი ნუნუ გომეშის თავგამოდების ერთობა ფიგუს ფლანგურ თუ შუამოედნურ დირიჟორობასთან ვერასოდეს ქმნიდა სრულყოფილ თანამედროვე გუნდს.

აქ ხუმრობენ — ხუთი-ექვსი თუ არა, სამი ფიგუს მინც გვჭირდება. ამგვარი ოხუნჯობა ძალიან პორტუგალიური რამაა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ლისაბონში ცხოვრობდა პოეტი ფერნანდო პესოა, რომელიც რამდენიმე ფსევდონიმით აქვეყნებდა სულ სხვადასხვა მანერით დაწერილ ლექსებს. ყველა ამ ლექსის ავტორი ერთი იყო და თან სხვადასხვა. ყველა პორტუგალიელი რომ თავისი გაქანებით ფიგუს გვართო კი თუნდაც ტეიშერია ან კარვალიო, მაშინ „ბარსას“ პოლანდიელები დაეწყობოდნენ და ზედ „კამპ ნოუზე“ მიულოცავდნენ ჩემპიონობას ლუიშს.

თუმცა ჰადრე კროსომ (ჯვრის მამამ) თუ იცის, რა მოხდება ორმაბათს ეინდჰოვენში, სადაც ინგლისი ფიგუსელებს ხვდება...

ჩვენ კი პორტუგალიურად ვაღიაროთ, რომ ფიგუს არის O GLO-RIOSO, რაც ძღვევამოსილს ნიშნავს.

კოსმობოლოტიკური მიმოხილვა



ამას, ზიზუსა და წოწოლაურ გერას მოგება უნდათ, პლაკა კი იქსზე დგას

აი, ევროპის ჩემპიონატიც იწყება. ვინ გახდება ჩემპიონი? ზოგი ამბობს, პოლანდიო, ზოგი, საფრანგეთიო, ზოგი, ესპანეთიო, იტალიაო. შედეგის იმედოც კი აქვთ, მაგრამ ევრე ადვილი რომ იყოს, რა უჭირდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიიღებს ბურთს დავიდსი, გადაწოდებს ოვერმარსს, ოვერმარსი ფრთაზე მცველს გაასწრებს და საჯარიმოში ბერსკამპს გადაუვდება, ხოლო ბერსკამპი ქუსლით გააჩერებს, 360 გრადუსით დატრიალდება და ქვემოდან ნატიფად ამოჰკრავს, რის შემდეგ ბურთი ლამაზ ტრაექტორიას შემოწერს და მეკარის უკან, ბაღში ჩაეშვება, ძალიან ცდება.

1. ცოლთან ჩხუბი
2. სახლდან გამოსვლისას სადარბაზოში გერონტასთვის თვალის არიდება
3. კუთხის გასტრონომში „არგოს“ დაღვევა
4. მარშუტკის ცდის დროს მარცხნიდან მეორე ჭადრისთვის თვალის არიდება (სავალდებულოა)
5. სამსახურის ტუალეტში სამის თხუთმეტ წუთზე მოშარდვა
6. ხუთ საათზე ფეროვანის ყიდვა და დათოს დაპატივება (თუ დათო არ არის, ნებისმიერის)
7. შეიდის ნახევარზე საკუთარი კორპუსის ეზოში მიშა ძისთან ერთი ხელი დომინოს თამაში, აუცილებლად წაგებით.
8. ცხრაზე ცოლისთვის იმის თქმა, რომ სიდერდის და ძალიან კარგი ქალია
9. თამაშის ნახვის წინ ტელევიზორზე ხუთნახევარჯერ დაკაუნება და აუცილებლად მწვანე სავარძელში ჩაჯდომა
10. თამაშის დამთავრებისთვის „ვაისროის“ კოლოფში შეიდი ღერი უნდა დარჩეს.

- მაგრამ არც ზიდანმა და არც გერამ არ იციან, რომ პლაკა იქსზე დგას (დანიშნავებულია, რომ თამაში ფრედ დასრულდება, მთარგმ.) და ამისათვის:
1. დილით ცოლთან იჩხუბა
 2. ჩაიცვა ლურჯი წინდები
 3. იყიდა ერთი „პრიმა“ და ერთი „პარლამენტი“
 4. ნიკუმას წაარტყა
 5. სამის თხუთმეტ წუთზე დაახველა
 6. ხუთის ნახევარზე ლევანა ხინკალზე დააპატიყა
 7. სპეცილურად დადგა გაჩერებაზე „ბატას“ რეკლამასთან და არ შეხვდა
 8. საღამოს ცოლისძმას „ყიზბეგი“ აყიდინა
 9. თამაშის დაწყების წინ მწვანე შორტები ჩაიცვა
 10. პირველი ტაიმის ბოლოს საფრფლუ კედელს ესროლა.
- მაგრამ არც გერამ და არც პლაკამ არ იციან, რომ ზიდანს უბრალოდ მოგება უნდოდა და ამისთვის:
1. დილით ცოლს ეჩხუბა...

აბაუნა კედიბა

ყურადღება: დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აორუ“ (კოტე და რუსლანი) იცხადებს მიღებას მექრთამეობის ფაქულტეტზე. „აორუს“ დიალომით თქვენ შეგიძლიათ სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობა



მეც, ფიგუს, რაა... ეს კაცი ყველგან დიდ პატივშია, ყველგან ავტოგრაფს სთხოვენ

B ჯგუფი. I ტური. 10 ივნისი. 23⁴⁵
ბელგია - შვედეთი

ბრიუსელი. „მეფე ბოლდენი“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

დღე პირველი



გახსნის მატჩის ბილეთის პრეტენტაცია ბრიუსელში

მშობლის ჩემპიონატი ოფიციალურად დღეს საღამოს დაიწყო. ბრიუსელის „მეფე ბოლდენზე“ შეკრებილთა ტელევიზორებთან მიმსდართ, ერთ-ერთ მისასალმებელ სიტყვას გვეტყვიან, მერე გუნდები მინდორზე გავლენ, გერმანელი არბიტრი მარკუს მერკი ჩასტყვენ და...

თუმცა ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ცალკეული მატჩი თუ მთლიანად ტურნირი, მსაჯის სასტვენამდე კარგა ხნით ადრე იწყება. ესაა მომქანცველი ვარჯიშები, მეტოქეთა დაზვერვა, ტაქტიკური სქემების დამუშავება, მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, გაუთავებელი პრესკონფერენციები და ინტერვიუები, კიდევ ბევრი სხვა რამ. ამ ყველაფერზე მრავალჯერ გვითქვამს და ჩემპიონატის დღეებშიც არაერთხელ მივუბრუნდებით. დღეს კი გახსნის მატჩია, რომელიც, როგორც წესი, სანახაობრივად ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ საყოველთაო ზეიმის განწყობას მაინც ქმნის. ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა ხომ არ არის, ასეთი რამ ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება.

რაკი გახსნის მატჩი ვახსენეთ, ბარემ სტატისტიკასაც გადავხედოთ. ის გვეუბნება, რომ უხეგლიან თამაშს არ უნდა ველოდით. ევროპის ჩემპიონატის დღევანდელი ფორმატი ანუ ჯგუფური ტურნირის სახე 1980 წლიდან იღებს სათავეს და ჩვენც აქედან დაიწყო: 1980 წელი, გერმანია — ჩეხოსლოვაკია 1:1; 1984, საფრანგეთი — დანია 1:1; 1988, გერმანია — იტალია 1:1; 1992, შვედეთი — საფრანგეთი 1:1; 1996, ინგლისი — შვეიცარია 1:1. როგორც ვხედავთ, გახსნის შეხვედრებს ან მასპინძლები იგებენ მინიმალური ანგარიშით, ან ფრედ მთავრდება. აქვე დავემატოთ, რომ შვედებს ევროპის პირველობის გახსნის პატივი უკვე რგებიათ, როცა რვა წლის წინ ისინი მასპინძლები იყვნენ. ბელგიელთათვის ეს პირველი ასეთი შეხვედრაა, თუმცა ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი თამაშის მონაწილენი არიან — 1982 წელს ესპანეთში ბელგიელებმა სენსაცია მოახდინეს: მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინას 1:0 მოუგეს.

სტატისტიკური მონაცემების გაცნობა თავისთავად საინტერესოა, თუმცა დღევანდელი მატჩის წინ მას ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს — ის, რაც ადრე ხდებოდა, შესაძლოა ამჯერად აღარ განმეორდეს.

დღეს საღამოს თბილისის დროით 23 საათსა და 45 წუთზე მარკუს მერკი თამაშის დაწყებას ბრძანებს. იქამდე კი მწვრთნელები სიტყვიერ დუელში იწყებენ ერთმანეთს.

რობერ ვასევი, ბელგიის თავკაცი: „ცხადია, ყოველ თამაშზე მხოლოდ მოსაგებად გავდივართ, მაგრამ პირველს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. თუ გავიმარჯვებთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ორმაგად მოგებულნი დავრჩებით — სამ ქულასაც ავიღებთ და საკუთარ თავშიც უფრო დაჯერებულნი ვიქნებით“. როგორც ვასევის სიტყვებიდან ჩანს, მას ბელგიელთა გამარჯვებისა მტკიცედ სწამს,

თუმცა... „სტადიონზე მოსულ ხალხს იქნებ უკმაყოფილების გრძობაც დარჩეს — ლამაზი თამაში ვერ იხილოს. რას იზამ, ჩემთვის მთავარი შედეგია, თან პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ გახსნითი შეხვედრები ყოველთვის ფრთხილი და ნაკლებ საინტერესოა.“

შვედთა მწვრთნელ ტომი სოლდერბერგს კი ადრევე უთქვამს, ყოველგვარი გამოკიდისთვის მზად ვარო. ვასევის გამოწვევაზე მისი პასუხიც, ალბათ ეს არის.

დღეს საღამოს გერმანელი მარკუს მერკი ჩასტყვენ და მწვრთნელთა მატჩისწინა განცხადებები აზრს დაკარგავს. თამაშის ბედი ფეხბურთელთა ხელში გადავა. ამიტომ, მათი ვინაობის ცოდნა უფრო საინტერესოა.

ბელგიელთა კარს ფილიპ დე ვილდე დაიცავს. დაცვის ცენტრს ლორენსო სტალენსი გააკონტროლებს. უკან დაწეული ნახევარმცველი ივ ვანდერპეიგი და გამთამაშებელი მარკ ვილმოლტიც მინდორზე იქნებიან. ბრანკო შტრუპარი მეტოქის კარის დალაშქვრას შეეცდება, ხოლო გერტ ვერპეიენი, რომელმაც ვარჯიშებზე რობერ ვასეუს დიდად მოაწონა თავი, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგს ჩაიბარებს. ბარტ ვოორი კი მარცხნივ გამაგრდება. სასტარტო შემადგენლობაში ალბათ ემილ მპენზასთვისაც გა-



ბელგიელთა ერთერთი ბოლო ვარჯიშზე გიო ჭინჭაძის დერბელი თანაგუნდელი ბრანკო შტრუპარი ვასევის მოწონებულ გერტ ვერპეიენს გაურბის

მოიძებნება ადგილი. რობერ ვასეუს ლუკ ნილისის დიდი იმედიც აქვს. მისი ნაკრებში დაბრუნება გუნდის საერთო განწყობას დიდად დაეტყობო — თქვა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ნილისმა ნაკრებში თამაშზე უარი თქვა და გუნდს სულ ახლახან — მაისში დაუბრუნდა, თუმცა სასტარტოში მისი გამოჩენა ნაკლებ სავარაუდოა.

ვასევი მსაჯად მარკუს მერკის დანიშნვამაც აღფრთოვანა: „ის ბრწყინვალე ახალგაზრდა არბიტრია. დარწმუნებული ვარ, უშეცდომოდ იმუშავებს“.

შვედთა ბანაკში კი მთავარი უსიამოვნებები ადრე მოხდა. შტეფან შვარცი, პონტუს კამარკი და ანდრეას ანდრესონი ტრავმების გამო ბელგიაში არც ჩასულან. იქ მყოფთაგან კი ტომი სოლდერბერგს არსენალელმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა გაუჩინა საფეიქალი. ფეხბურთელს ფეხი აწუხებს და ბოლო დღეებია, სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს, თუმც მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ლიუნგბერგი გუნდს დაეხმარება. შვედთა წარმატება ასევე დიდად არის დამოკიდებული ჰენრიკ ლარსონის სათამაშო ფორმაზე თუ სოლდერბერგი ახლახან ტრავმამოშუშებული სელტიკელის მინდორზე გაყვანას გარისკავს, ლარსონ-კენეტ ანდრესონის წყვილი მეტოქე მცველებს გვარიან პრობლემებს შეუქმნის.

დაბოლოს, დღეს მთამაშე გუნდებს ერთი იუბილარი ეყოლებათ. ბელგიელი თავდამსხმელი ჟილ დე ბილდე 29 წლის გახდა.

თუმცა, საეჭვოა, მან დაბადების დღე გოლით აღნიშნოს — მატჩის დაწყებას ის სათადარიგოთა სკამზე შეხვდება. აი, შეცვლაზე თუ შევიდა, მაშინ ვნახოთ...

სამარაულო შეხადგენლობა
ბელგია: ფილიპ დე ვილდე; ერიკ დეფლანდრე, იოს ვალგაერენი, ფილიპ ლენონარი, ლორენსო სტალენსი; ივ ვანდერპეიგი, მარკ ვილმოლტი, ბარტ ვოორი, გერტ ვერპეიენი; ემილ მპენზა, ბრანკო შტრუპარი
შვედეთი: მაგნუს ჰედმანი; როლანდ ნილსონი, პატრიკ ანდრესონი, იოახიმ ბიორკლუნდი, გარი სუნდგრენი; ნიკლას ალექსანდერსონი, დანიელ ანდერსონი, ფრედერიკ ლიუნგბერგი, იოჰან მიალბი; კენეტ ანდერსონი, იორგან პეტერსონი

სტატისტიკა	
ბელგია	შვედეთი
მოგება	5 - 5
ფრე	2 - 2
წაგება	5 - 5
ბურთები	1829

უფა მსაჯებისგან მოითხოვს...



პიერლუიჯი კოლინა (მარცხნივ): ფეხბურთელთა კეთილსინდისიერება საეჭვო ხდება

თავდამსხმელი წინ მიიწევს. აი, მეტოქის საჯარიმოშიც შეიჭრა. მცველი ცდილობს ბურთი აართვას. ისინი მჭიდროდ ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს ფორვარდი ლამაზად ხტება და მინდორზე გორდება. მის სახეზე ტანჯვა აღბეჭდილი, ხელები კი ფეხზე მოუკიდია. ეს ყველაფერი წამის მულაკისთვის ყველაზე ადინინავს და მათივე გაარკვიო. როგორ იქცევა ამ დროს მსაჯი? იგი სამი შესაძლო ვარიანტიდან ერთს ირჩევს. პირველი, წესების დარღვევას აღინიშნავს და დამნაშაის კარში პენალტის დარტყმას ითხოვს. მეორე, ვითომც არაფერი მომხდარაო, თამაშს გაგრძელებას ბრძანებს. და მესამე, თავდამსხმელს სიმულაციისთვის ყველაზე ბარათით „აჯილოდებს“. ვინც ფეხბურთს უყურებს, ამგვარი შემთხვევების მომსწრე ლამის ყოველი მატჩის დროს ხდება.

უეფას სამსაჯო კომისიის წევრმა კენეტ რიდენმა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე მისი მომსახურე მსაჯები შეკრიბა და ამ საკითხებთან დაკავშირებით უეფას ახალი ინსტრუქცია გააცნო. როგორც ჩანს, ჩემპიონატის დღეებში არბიტრთა იმ სამი შესაძლო გადაწყვეტილებიდან, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მხოლოდ ორს ვიზილავთ. უეფა შეუვალაა — პენალტი ან გაფრთხილება.

მართალია, წესების დარღვევა იყო ან არა. და თუ არ ყოფილა, ცალთბანდისთვის ყველაზე ბარათის ჩვენება სავალდებულო ხდება. მაგრამ აქ ერთი პრობლემაც არსებობს — შეცდომის დაშვების ალბათობა იზრდება. მოგვხსენებთ, როგორი ტემპითაც თამაშობენ თანამედროვე ფეხბურთის, შენელებულ კადრშიც კი ფეხბურთელები ძალიან სწრაფად დარბიან. ჰოდა, მსაჯს სულ უფრო და უფრო უჭირს იმის

გარჩევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ხომ შეიძლება, უდანაშაულო ფეხბურთელმა ტრავმა მართლაც მიიღოს და დამატებით გაფრთხილებითაც დაისაჯოს? ანდა პირიქით, წესები არ დაირღვეს და თერთმეტმეტრიანი კი დაინიშნოს? თუმცა ეს ერთი საკითხი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს — სიმულაციას დაუნდობობა ბრძოლა უნდა გამოეცხადოს და უეფასული ღირებულებაც აქეთკენაა მიმართული.

და რას ამბობენ მსაჯები? პიერლუიჯი კოლინა: „სიმულაცია მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს პრობლემად იქცა. ფეხბურთელთა კეთილსინდისიერება უკვე საეჭვო ხდება. საქმე ის როდია, რომ ისინი ჩემს, ანუ მსაჯის მოტყუებას ცდილობენ, თავიანთი საქციელით მეტოქეს აზიანებენ. თუ მოგტყუებდი, პენალტს დაარტყამენ და თამაშის ბედიც გაარკვეულია. ვფიქრობ, ამგვარი მეთოდებით გამარჯვების მიღწევა მათ ღირსებას ვერაფერს მატებს“.

ჩემპიონატის მომსახურე კიდევ ერთ არბიტრს, კიმ მილტონ ნილსენს კი შეცდომის დაშვების საშიშროება უფრო აფიქრებს: „ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება. დარწმუნებული უნდა იყო, რომ სწორად იქცევი. ერთი შეცდომით, შესაძლებელია რომელიმე გუნდი აზარალო. თუმცა, ფეხბურთელებმა უნდა შეიგნონ, რომ სიმულაცია ძალიან ძვირად დაუჯდებათ“.

ამ საკითხზე რომ ისაუბრა, კენეტ რიდენმა მსაჯებს შეახსენა, ყურადღება მიაქციეთ, მეკარეებმა ხელში აღებული ბურთი ღრუოლად, ექვს წამში მოიცილონ, ხოლო განსაკუთრებით უხეში ფეხბურთელებისთვის წითელი ბარათების ჩვენებას არ მოუერიდოთ.

გიორგი დარჯანიანი

- 10 ივნისი ბელგია - შვედეთი მარკუს მერკი (გერმანია)
- 11 ივნისი თურქეთი - იტალია პოუ დალასი (მოლდოვა)
- საფრანგეთი - დანია გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
- ჰოლანდია - ჩიხეთი პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
- 12 ივნისი გერმანია - რუმინეთი კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
- პორტუგალია - ინგლისი ანდრეს ფრისკი (შვედეთი)
- 13 ივნისი ესპანეთი - ნორვეგია ჯამალ განდური (ეგვიპტე)
- ინგლისი - სლოვაკია მელი პერერი (პორტუგალია)
- 14 ივნისი იტალია - ბელგია გარსია არანდა ენსინარი (ესპანეთი)
- 15 ივნისი შვედეთი - თურქეთი დიკ იოლი (პოლანდია)
- 16 ივნისი ჩიხეთი - საფრანგეთი გრემ პოლი (ინგლისი)
- დანია - ჰოლანდია ურს მაიერი (შვეიცარია)
- 17 ივნისი რუმინეთი - პორტუგალია ჟილ ვესიუ (საფრანგეთი)

პრო 2000-ის კალენდარი

ჯგუფური ტურნირი

ნომერი	ივნი	დრო	მწიფი	ტურნირი
10	ივნი	23 ⁴⁵	ბრიუსელი	B
11	ივნი	17 ³⁰	არნემი	B
		21 ⁰⁰	ბრიუგე	D
		23 ⁴⁵	ამსტერდამი	D
12	ივნი	21 ⁰⁰	ლიეჟი	A
		23 ⁴⁵	ეინდჰოვენი	A
13	ივნი	21 ⁰⁰	როტერდამი	C
		23 ⁴⁵	შარლერუა	C
14	ივნი	23 ⁴⁵	ბრიუსელი	B
15	ივნი	23 ⁴⁵	ეინდჰოვენი	B
16	ივნი	21 ⁰⁰	ბრიუგე	D
		23 ⁴⁵	როტერდამი	D
17	ივნი	21 ⁰⁰	არნემი	A
		23 ⁴⁵	შარლერუა	A
18	ივნი	21 ⁰⁰	ამსტერდამი	C
		23 ⁴⁵	ლიეჟი	C
19	ივნი	23 ⁴⁵	ბრიუსელი	B
		23 ⁴⁵	ეინდჰოვენი	B
20	ივნი	23 ⁴⁵	შარლერუა	A
		23 ⁴⁵	როტერდამი	A
21	ივნი	21 ⁰⁰	არნემი	C
		21 ⁰⁰	ბრიუგე	C
		23 ⁴⁵	ლიეჟი	D
		23 ⁴⁵	ამსტერდამი	D

A ჯგუფი

	1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ	ბ
1 ბრაგანა	●								
2 რუმინეთი		●							
3 პორტუგალია			●						
4 ინგლისი				●					

B ჯგუფი

	1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ	ბ
1 ბელგია	●								
2 შვედეთი		●							
3 თურქეთი			●						
4 იტალია				●					


C ჯგუფი

	1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ	ბ
1 ესპანეთი	●								
2 ნორვეგია		●							
3 იუგოსლავია			●						
4 სლოვენია				●					


D ჯგუფი

	1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ	ბ
1 ჰოლანდია	●								
2 ჩეხეთი		●							
3 საფრანგეთი			●						
4 დანია				●					


24 ივნი 21⁰⁰ ამსტერდამი




28 ივნი 23⁴⁵ ბრიუსელი




24 ივნი 23⁴⁵ ბრიუსელი



29 ივნი 21⁰⁰ ამსტერდამი



25 ივნი 21⁰⁰ რომბერდამი



ბოლის რეიტინგი

პრო 2000-ის ჩემპიონატის მოლოდინი საუკეთესო მიზეზია ჟურნალ „გოლის“ რეიტინგის გასახსენებლად. ძნელი საკარადოა, რას შეცვლის ევროპული ფეხბურთის წლებადელი ფორუმი ჩვენს რეიტინგში, მაგრამ ევროფინალებმა და კონტინენტის ახალგაზრდულმა ჩემპიონატმა წინანდელთან შედარებით უკვე უცვალა სახე. ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, რეიტინგში ახალი წევრის, თურქეთის გამოჩენაა, რომელმაც უფრას თასის მოგებით ერთბაშად 4 ქვეყანა ჩააჩოჩა დაბლა. ყველაზე მარჯვენი მაინც ესპანელები გამოდგნენ: „რეალ“ — „ვალენსიას“ ფინალმა პირინელებს თავიდანვე დაუბევა 15 ქულა (10 მოგებულს, 5 ფინალისტს). 9 ქულა შეიმატა ინგლისმა „გალათასარაისთან“ „არსენალის“ წაგებით (4) და უფრო ადრე „მანჩესტერის“ მიერ საკონტინენტთაშორისო ფინალში „პალმეირასის“ ძლევით (5).

ოდენ სამ ქულას დასჯერდა იტალია, ისიც ახლახანს დასრულებული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ხარჯზე. იტალიელთაგან ძლეულ ჩემებს კეს უკვე მეორე გრაფა შეეფასოთ, ერთი, მეცამეტე ქულის მოპოვებით.



მადრიდის „რეალის“ ორი თაობის ტრიუმფი: რაული და მანუელ სანჩისი ჩემპიონთა თასით

	მრ	ჩრ	ბთ	თთ	შთ	სკთ	მრ	ორ	სკთ	ჩრ	სულ
იტალია	131	20	150	54	112	35	-	38	21	13	574
ბრაგანია	160	84	80	36	72	10	7	62	-	1	512
ესპანეთი	10	32	130	63	84	15	7	25	9	8	375
ინგლისი	35	-	90	63	100	5	-	35	12	6	346
ჰოლანდია	44	20	70	9	32	15	-	47	9	-	246
საფრანგეთი	59	20	30	12	12	-	-	42	-	3	179
სსრკ	10	56	-	21	-	-	-	7	15	3	102
პორტუგალია	12	-	55	9	4	5	12	11	3	1	112
იუგოსლავია	10	24	15	-	16	5	5	7	-	4	86
ბელგია	-	10	12	5	30	20	-	-	9	-	86
შვედეთი	51	-	5	-	16	-	-	-	-	1	73
უნგრეთი	34	-	-	6	20	-	-	7	-	4	71
ჩეხოსლოვაკია	34	20	-	6	-	-	-	6	-	3	69
შოტლანდია	-	-	15	18	4	-	-	8	3	-	48
ავსტრია	22	-	-	9	4	-	-	2	-	-	37
პოლონეთი	24	-	-	3	-	-	-	2	-	-	29
დანია	-	20	-	-	-	-	-	9	-	-	29
რუმინეთი	-	-	15	-	-	-	-	-	3	-	18
გულბარეთი	10	-	-	-	-	-	-	7	-	-	17
გდრ	-	-	-	12	-	-	-	-	-	3	15
ჩეხეთი	-	12	-	-	-	-	-	-	-	1	13
სორვატია	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	12
თურქეთი	-	-	-	-	8	-	-	-	-	-	8
საბარქეთი	-	-	5	-	-	-	-	-	-	2	7
ჩრდ. ირლანდია	-	-	-	-	-	-	-	6	-	-	6
შელსი	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1
ფინეთი	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	1

„გოლის“ რეიტინგში ქულები დაერიცხება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სამ საკლუბო ტურნირში, სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში, „ოქროს ბურთის“ რეფერენდუმში და ახალგაზრდულ ნაერებთა შეჯიბრებაში (თქვამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს და ოცდაერთწლამდელთა ევროპის ჩემპიონატს) ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით.

ქულათა დარიცხვის სისტემა ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონატში (მჩ) გამარჯვებული იღებს 25 ქულას, მეორე-მეოთხე ადგილზე გასული, შესაბამისად, 17, 12 და 10 ქულა ურიცხვბათ. ევროპის ჩემპიონატში (ეჩ) შეფასდება 20 ქულად მეორე ადგილი — 12 ქულად. ჩემპიონთა თასის (ჩთ) მოგება 10 ქულას იძლევა ფინალში გასვლა — 5 ქულას, ხოლო უფრას თასი (უთ) და თასების თასი (თთ) შესაბამისად — 8 და 4; 6 და 3 ქულას.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატსა (მჩა) და საკონტინენტთაშორისო თასის (სკთ) გათამაშებაში გამარჯვებულისთვის განუყოფელია 5-5 ქულა. გარდა ამისა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა იძლევა 2 ქულას, „ოქროს ბურთის“ ლაურეატები, შესაბამისად, 5, 2 და 1 ქულას იღებენ. სუპერთასის მოგებისთვის 3 ქულაა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვება 3 ქულად ფასობს, მეორე ადგილი კი 1 ქულად.

პირველად საქართველოში!

რადიო „პრო 2000“ გთავაზობთ პროექტს „პრო 2000“

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

RADIO VRIKA
100.3 FM

A ჯგუფი

გერმანია



მეკარეები

1	ოლივიერ კანი ბაიერნი, მიუნხენი	15.06.69
12	იენს ლემანი ბორუსია, დორტმუნდი	10.11.69
22	ჰანს იორგ ბუტი ჰამბურგი	28.05.74

მცველები

2	მარკუს ბაბელი ბაიერნი, მიუნხენი	08.09.72
3	მარკო რამერი ჰერტა, ბერლინი	29.04.72
4	თომას ლინკა ბაიერნი, მიუნხენი	26.12.69
6	იენს ნოვოტნი ბაიერი, ლევერკუზენი	11.01.74
10	ლოთარ მათეუსი ნიუ იორკ მეტროსტარზი, აშშ	21.03.61

ნახევარმცველები

7	მიკაელ ლამპერი ბაიერნი, მიუნხენი	16.10.70
8	თომას ჰესლერი მიუნხენ 1860	30.05.66
13	მიხაელ ბალაკი ბაიერი, ლევერკუზენი	20.09.76
14	დიტმარ ჰამანი ლივერპული, ინგლისი	27.08.73
15	დარიუს ვოზი ჰერტა, ბერლინი	08.06.69
16	იენს იერამისი ბაიერნი, მიუნხენი	05.03.74
17	კრისტიან ციგე მიდლსბრო, ინგლისი	01.02.72
18	სებასტიან დანსლერი ჰერტა, ბერლინი	05.01.80
21	კარსტენ რაბელმ ბაიერი, ლევერკუზენი	20.03.74

თავდასხმელები

5	მარკო ბოდე ვერდერი, ბრემენი	23.07.69
9	ულფ კირსტენი ბაიერი, ლევერკუზენი	04.12.65
11	რობერტო ჰაულო რინკი ბაიერი, ლევერკუზენი	12.02.73
19	კარსტენ იანკარი ბაიერნი, მიუნხენი	28.08.74
20	ოლივიერ ბირკოფი მილანი, იტალია	01.05.68

